1567-36

საბჭო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 9 (230) გამოცემის მე-13 წელი • 1969 წლის 12 დეკემბერი

ჩემის კაცობის გვირგვინო




ვაჟა-ფშაველა

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიჟარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო.
გევრს ტანჯვას გამოვლილი ვარ,
გევრი დღე ვნახე მწარეო.
არ დაიმალვის, როგორც მზე,
რაც მე ცრემლები ვღვარეო.
ის მოიგონე, მაინცა,
გეჩავო არე-მარეო!
ჩემს ცრემლს უგეში ინახავ,
ვიცი, სამშობლოს მთვარეო;
არ მიღალატო, ოცნებავ,
მნახოდი მალე-მალეო.
კი არ შემომწყრე, მიმუხთლო,
იარო გარე-გარეო.
თუ ამას იზამ, წინა დღით
საფლავი გამითხარეო.
მოვკვდე, კაცთ ხელი მერიდოს,
ოცნებავ, დაგიბარეო:
შენ მნახე, შენა, მარტო შენ,
გულს მიწა მომაყარეო.







სურათებზე: „ქართლელი ქალი“ — ასე უწოდა ფოტორეპორტიორმა ევგენი პესოვმა თავის ნამუშევარს, რომელიც მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში, ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრული და დოკუმენტური ფოტოგრაფიის საერთაშორისო გამოფენაზეა წარდგენილი; ქართველი მოცეკვავის ამ კამარას ტაშს უკრავდა მთელი მსოფლიო (გონდო დადვაძის ფოტო); დაისი ზღვაზე (არსენ ჩარკვიანის ფოტო); საუკუნეებგამოვლილი გორის ციხე (ვალერიან გენგიურის ფოტო).

კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი, გამოჩენილი მხედართმთავარი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი.

◆ ◆

უცხოეთის პრესიდან

წერილი დედას

ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცის ქვემოთმოყვანილი წერილი დედისადმი დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის ყოველთვიურ დამოუკიდებელ ჟურნალ „თავისუფლების ხმაში“. უკეთებს რა წერილს კომენტარს, ჟურნალი წერს: „ამ ჯარისკაცის დედა რეალური პიროვნებას წარმოადგენს. იგი რიჩმონდში ცხოვრობს, დღეს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელი ინაწილებს დილემას, რომელიც ჯარისკაცის დედის წინაშე დგას“.

ეს წერილი გადაბეჭდა აგრეთვე ინგლისის გაზეთმა „მორნინგ სტარმა“.

ძვირფასო დედა!

როგორა ხარ? იმედია, კარგად. მე კი არ ვიცი როგორ ვგრძნობ თავს. დღეს სამი ჭალი მოვკალი და ამასთან ბავშვის სიკვდილის მოწმეც გავხდი. დედა, მე არ შემეძლო დახმარება გამეწია მათთვის. მე როდი მსურდა დაბეზღება ისინი. სხვა არავითარი გამოსავალი არ იყო. აქ უნდა მოჰკლა ან ნოგკლავენ.

მოკლულთაგან ერთ-ერთს თოფი ჰქონდა, დანარჩენ ორს კი დიდი სასხლავი დანები, ერთ მათგანს ბავშვი ჰყავდა ზურგზე მოკიდებული. გვამებს შემდეგ ცეცხლი წავუკიდეთ...

რაზმის მეთაურმა მიბრძანა ბავშვიც დამეხვრიტა. შევცქეროდი პატარას, დედას რომ დასტიროდა, რომელიც ის იყო წუთისოფელს გამოვასალმე და შემდეგ დავწვი. ბოლოს აღვმართე შაშხანა, მაგრამ სროლა ვერ შევძელი. მეორე თანარაზმელმა მაინც ესროლა საცოდავს პირდაპირ თავში. იგი ხომ სრულიად პატარა, უმწეო და უვნებელი იყო. ჩვენებმა ბავშვსაც წაუკიდეს ცეცხლი. ელდანაცემი, ყვირილით მოვწყდი იქაურობას. გონებიდან ვერ ამომიფხვრია ბავშვის სახე.

დედა, ერთი საქმეა წუთისოფელს გამოასალმო ვინმე იმისათვის, რომ შენ არ მოგკლან, მაგრამ სიცოცხლეს გამოასალმო უმწეო ბავშვი, ეს ხომ ჯოჯოხეთური საშინელებაა.

ვერც ვიძინებ, ვერც ვჭამ. ყოველნაირად ვარწმუნებ ჩემს თავს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ ყოველ წუთს ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა. ფიქრებმა ლამის არის ნაფლეთებად მაქციოს.

დედა, ვინა ვარ მე? დაქირავებული მკვლელი? შენ ხომ ყოველთვის იმ რწმენით მზრდიდი, მკვლელობა უდიდესი ბოროტებააო, მაგრამ აქ რომ ამ მძიმე დანაშაულს ყოველდღე ჩავდივარ?

დედა, მინდა გავექცე, გავეცალო აქაურობას. მაგრამ სად, არ ვიცი, თითქოს ბორკილებდადებული ვარ. დედა, დამეხმარე გონს მოვიდე, მასწავლე გზა, სადაც სწორად შემეძლება ცხოვრება.

ბებერია ქადაგებს, ვინც არ გერჩის ნუ ჰკლავო. საღი აზრიც იმასვე მიჯარნახებს, რომ ეს ბოროტებაა. ჩვენი სამხედრო კანონი კი, პირიქით, ძალმომრეობას, მოსპობას გვიკარნახებს, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?


დედა, გახსოვს მამამ როგორ გამწკეპლა, როცა წიწილა შემომაკვდა? მამამ ეს წიწილას სიკვდილისათვის როდი ჩაიდინა. მან იმისათვის დამსაჯა, რომ პატარა არსებას შეგნებულად ვაწვალებდი, რათა მომკვდარიყო. ამით მამამ ჩემს ცუდ საქციელზე მიმითითა. მაგრამ აქ ხომ წიწილებს არ ვეძრძვით, აქ ხომ ხალხია.

როგორ შეიძლება შენდობილი ვიყო, როდესაც ვკლავ და ვიცი, რომ ეს ბოროტებაა? რით შემიძლია ვიმართლო თავი, როცა ეს საცოდავები ჩემს წინ მუხლებზე ეცემიან და შეწყალებას მთხოვენ? როცა შიშმილისაგან ილაჯგაწყვეტილებს მინდა საჭმელი მივცე, მაგრამ არ შემიძლია.

რა ქვეყანაა ეს? გიბრძანებენ და ვალდებული ხარ მოჰკლა. აღარ ვიცი ვისი მხარე დავიჭირო. უფლება მაქვს კი მოვიქცე ასე საძაგლად? რა მოუვერხო ჩემს ასეთ მდგომარეობას? დედა, ძალიან დაბნეული ვარ, დამეხმარე. ვიმეორებ, არ ვიცი ვისი მხარე დავიჭირო, რა ვირწმუნო ან რა არ ვირწმუნო და რატომ?

ვგრძნობ, რომ დავიკარგე ამ უზარმაზარ სამყაროში. მინდა რაღაც მჯეროდეს.

დედა, მითხარი, რა შეიძლება მჯეროდეს?







სურათებზე: ზევით — „ბორჯომის“ წყაროსთან. ქვევით — ხედი პლატოდან.

ბორჯომის წყალი

თენგიზ ლეკვეიშვილი

● „ორი კვირაა ბორჯომში ვარ. ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. აღტაცების ცრემლიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდები ... ჩემი აზრით, ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელ მსოფლიოში“, — ასე სწერდა დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი თავის ერთ მეგობარს.

და განა მარტო ჩაიკოვსკი, რომელსაც ამ საუცხოო ბუნებამ შთააგონა დაეწერა თავისი დიდებული საგუნდო ნაწარმოები — „ოქროს ღრუბელმა ღამე ათია“, სხვაც ბევრი მოსულა აღტაცებაში ბორჯომის ულამაზესი მიდამოებით, მისი შესანიშნავი წყლით, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ. „სიცოცხლის ელექსირს“, „უკვდავების წყაროს“ და კიდევ რას არ უწოდებენ მას. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წყალს გულისხმობდა მეფე აბესალომი, „უკვდავების“ წყლის მოტანას რომ ავალებდა მურმანს.

ბორჯომის წყლის სამკურნალო თვისებები ჩვენი წინაპრებისათვის ოდითგანვე ყოფილა ცნობილი. ამაზე მეტყველებს აქ მიკვლეული აბანების ნაშთი, რომელიც ჩვენს ერამდე უნდა იყოს აშენებული.

მაგრამ ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას და მის უძვირფასეს წყალს ნამდვილი პატრონი და დამფასებელი მხოლოდ ჩვენს ეპოქაში მოევლინა.

მოვიყვანოთ ციფრები: 1925 წელს ჩამოასხეს 3.601 ათასი ბოთლი „ბორჯომი“, 1927 წელს — 6.520 ათასი. ახალი ქარხნის აშენების შემდეგ, 1965 წელს ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმამ 113 მილიონ ბოთლს მიაღწია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდისათვის ბორჯომის მინერალური წყლის სადღეგამისო დებიტმა გადააჭარბა 400 ათას ლიტრს, უბრალოდ გაანგარიშებითაც ნათელი გახდება, რამდენი მილიონი ლიტრი ოქროდღირებული წყალი იღვრებოდა უქმად.

დღის წესრიგში დადგა ახალი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობის საკითხი. და აი ესეც რეალობად იქცა. სულ მალე მწყობრში ჩადგება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ახალი გიგანტი.

გაგაცნობთ ქარხნის დირექტორს, ადამიანს, რომლის უნარსა და ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული „ბორჯომის“ დღევანდელობა და ხვალინდელი დღე.

ქეთევან ხარისჭირაშვილმა 1949 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მშობლიურ ბორჯომში დაიწყო მუშაობა. ჯერ ქალაქის არქიტექტორი იყო, შემდეგ — შემკეთებელ-სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, კომუნალური განყოფილების გამგე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე...

როცა დადგა საკითხი ვისთვის ჩაებარებინათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს ხელმძღვანელობა, არჩევანი ქეთევან ხარისჭირაშვილზე შეჩერდა.

— მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, — გვითხრა ქეთევანმა, — ქარხნის მშენებლობის პარალელურად ვაგებთ საცხოვრებელ სახლებს მუშა-მოსამსახურეებისათვის. ორი ორმოცდარვაბინიანი სახლი ელის თავის მობინადრეებს. ქარხნის ტერიტორიაზე უნდა ავაშენოთ საბავშვო ბაგა-ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სპორტული ნაგებობანი, კლუბი.

ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს ლუნაჩარსკის ბორჯომში დასვენებისას უთქვამს — თუ მართლა არსებობს სამოთხე, მაშინ ის ალბათ ლიკანსა ჰგავსო. ახლა ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედების შედეგად ბევრი საუცხოო ადგილია ბორჯომში. მათ მალე შეემატება მინერალური წყლის ჩამომსხმელი № 2 ქარხნის ტერიტორიაც.

ამ ქარხნიდან ყოველწლიურად ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში და შეიძლება... პლანეტის გარეთაც (ამბობენ, ბორჯომის წყალს განსაკუთრებულ პატივსა სცემენ კოსმონავტებიო), გაიგზავნება 200 მილიონი ბოთლი „უკვდავების წყარო“. ორივე ქარხანა ყოველწლიურად სამას მილიონამდე ბოთლ მინერალურ წყალს ჩამოასხამს.

ამბობენ, კიდევ უნდა აშენდესო ბორჯომში მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. ეს მართლაც დიდებული საქმე იქნება. რატომ უნდა იღვრებოდეს უქმად ბუნების მიერ მომადლებული სიმდიდრე.

ხალხის სიკეთეს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას მოხმარდება ეს დიდებული წყარო.

როგორც ყველა ქართველი

შვეიცარია, 1966 წელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შრომის საერთაშორისო კომიტეტის მორიგი სხდომა. სიტყვას იღებს საბჭოთა ქვეყნის ტრანსპორტელთა წარმომადგენელი ანდრო იაკობაშვილი. მის დინჯ, აუღელვებელ ლაპარაკს ასობით ადამიანი უსმენს. იგი ჰყვება საბჭოთა ტრანსპორტელთა ცხოვრებაზე, მათ შრომასა და დასვენებაზე. იმაზე, თუ რა კეთდება ჩვენში ავტომძღოლთა შრომის შესაბამებულებლად, ავარიების თავიდან ასაშორებლად. ორატორი მოითხრობს ყველა ქვეყანაში ერთნაირად ზრუნავდნენ საჭესთან მჯდომ ადამიანთა კეთილდღეობაზე, მათთვის სამუშაო დღის შემცირებაზე. იმაზე, რომ თითოეულმა მძღოლმა ისარგებლოს ყველა ამქვეყნიური სიკეთით...

ანდრო იაკობაშვილის ყვალს ადევნებული, მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებზე აღმოვჩნდით.

პატივცემული ანდრო ამ ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა. მას იცნობენ როგორც მკაცრ, მაგრამ სამართლიან გამომცდელს. 10 წელიწადია, ყველა კურსდამთავრებული, ვინც დიდი ცხოვრების საგზურს ანდრო იაკობაშვილის ხელმოწერით იღებს, ღირსეულ



ადგილს იჭერს საბჭოთა ტრანსპორტელთა დიდ ოჯახში.

და კიდევ:

ყოველი სიახლე, რომელიც სამამულო ტრანსპორტზე ინერგება, მრავალმხრივ შემოწმებასა და აწონ-დაწონვას მოითხოვს. სხვებთან ერთად ამ საქმის გადაწყვეტა ანდრო იაკობაშვილსაც ევალება. გამოცდილი ტრანსპორტელის სიტყვა არც თუ იშვიათად საბოლოოა.

ჩვენი თანამემამულე თვითონაც ბევრჯერ წამდგარა მკაცრი ყიურის წინაშე. გამომგონებელ ანდრო იაკობაშვილის ღვაწლზე ნათლად მეტყველებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის დიდი მედლები.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა — მოსკოვის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში სიამოვნებით ისმენენ მის ლექციებს.

სრულიად საკავშირო საზოგადოება „სპარტაკის“ საავტომობილო ფედერაციის თავმჯდომარეს ანდრო იაკობაშვილს ხშირად უხდება დიდი შეჯიბრების ხელმძღვანელობა, ამ შეჯიბრებაზე სპორტსმენთა ოსტატობის შეფასება, მათი დაჯილდოება.

და ბოლოს:

მოსკოვის ავტოტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს საზრუნავი და გასაკეთებელი იმდენი აქვს, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

უველაფერი, რაც მოსკოვში, მარტივად რომ ვთქვათ, „თვლებზე დგას“, ანდრო იაკობაშვილის მზრუნველობას, ყოველდღიურ ყურადღებასა და კონტროლს მოითხოვს. მათი რიტმული მუშაობის თუნდაც ერთი წუთით შეფერხებას წარმოუდგენელი ზიანის მოტანა შეუძლია მრავალმილიონიანი მოსკოვისათვის. აღვნიშნოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: დედაქალაქელი ავტომძღოლები ცენტრალიზებული წესით 42 სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევენ მოსკოველებსა თუ მათ სტუმრებს.

მოსკოვში რომ ჩახვალო, თვითმფრინავზე მიდგმულ ტრაპზე ფეხს რომ დაადგამთ, იცოდეთ, თქვენ უკვე დედაქალაქის ავტოტრანსპორტელთა მზრუნველობაში მოექეცით. ტაქსი თუ ავტობუსი, მაღაზიებში პროდუქტების შეზიდვა თუ მშენებლობებზე მასალების მიტანა. საქალაქთაშორისო ტვირთის გადაზიდვა თუ ქალაქის დასუფთავება, ექსკურსანტებისა და კერძო პირთა მომსახურება — უველაფერი მათ ევალებათ. და თუ, სტუმარო, კმაყოფილი დარჩით მოსკოველ ტრანსპორტელთა მუშაობით, იცოდეთ, ამაში ქართველი კაცის — ანდრო იაკობაშვილის წვლილიც არის.

იგი თბილისში დაიბადა, უმაღლესი განათლებაც აქვე მიიღო. ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, შვილებს — ზურაბსა და ირინესაც ნამდვილ ქართველებად ზრდის. მოსკოველი თუ თბილისელი მეგობრები ხშირად იკრიბებიან გულღია მასპინძლის — ტუკას (ასე უწოდებენ ანდროს ახლობლები) ლაბში და ქართული სასმისებით ისმება მეგობრების, წინაპრების, სამშობლოს სადღეგრძელო.

ამ ოჯახს დიასახლისიც შესაფერისი ჰყავს. ეთერ ჭუმბურიძე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, ადამიანთა ჯანმრთელობას სდარაჯობს. რა დროსაც უნდა მიაკითხოთ დახმარებისათვის, მზად არის როგორც ექიმი, დედა, როგორც კეთილი, თბილი გულის ქართველი ქალი...

წერილი ერთი მოსკოველი ტაქსის მძღოლის სიტყვებით მინდა დავამთავრო. შეკითხვაზე — როგორი კაცია თქვენი უფროსი ანდრო იაკობაშვილი, — მან სამი სიტყვით მიპასუხა, როგორც უველა ქართველი, და ცერი ზევით აღმართა...

რეზო მაჭავარიანი,
მოსკოვი

გამამარჯვებინებს თქვენი სიყვარული



— მტკვრისპირელ და დუნაის-პირელ ხალხებს შორის უსოვარი დროიდან ინასკვებოდა მეგობრობა, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი უნგრელმა ქართველოლოგმა ლაიოშ ტარდმა, რომელიც ორ თვეს იმყოფებოდა სტუმრად თბილისში.

უნგრელი ბერები და სწავლულები ყოველთვის ინტერესით იცქირებოდნენ კავკასიონის ქედის გადაღმა, სადაც ცხოვრობდნენ უძველესი კულტურის ქრისტიანები, რომელთა სიმდიდრეზე, კეთილშობილებასა და ვაჟკაცობაზე ლეგენდები დადიოდა. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოში, აღწერდნენ ივერიელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს, ცდილობდნენ დაეახლოებინათ მშვიდობისმოყვარე, მშრომელი ქართველი და უნგრელი ხალხი. ეს ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გამომამღვნა ბერმა იულიან დომინიკელმა ნაშრომში: „მოგზაურობა კავკასიაში“.

მას შემდეგ ბევრი ასეთი ნაშრომი შეიქმნა.

თქვენი წინაპრების გულისტკივილს ჩვენი წინაპრებიც იზიარებდნენ და ეს შემთხვევითი როდი იყო.

ერეკლე მეორემ ასპინძასთან საარაკო გამარჯვება მოიპოვა თურქებზე. უნგრეთის იმდროინდელი პრესა აღტაცებით გამოეხმაურა საერთო მტერზე გამარჯვებას.

უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების პირველი სერიოზული ცდა ჩვენმა თანამემამულემ, ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა მიხაი ზიჩიმ განახორციელა.

და მაინც ამ საუკუნემ მოუტანა ჩვენს ერებს ნამდვილი მეგობრობა.

უნგრულ პრესაში ყოველთვის ქვეყნდება ცნობები თქვენს მიღწევებზე...

ვემადლიერებით გრიგოლ აბაშიძესა და იოსებ ნონეშვილს, რომლებიც წერენ დუნაისპირეთზე, თარგმნიან ჩვენი საუკეთესო პოეტების ქმნილებებს...

ორ ათეულ წელიწადზე მეტია ვეძიებ და ვსწავლობ ქართულ-უნგრული კულტურის ურთიერთობის საკითხებს.

შევქმენი ყველა ქართველოლოგისათვის ესოდენ საჭირო მდიდარი ბიბლიოთეკა.

მაქვს ქართული ეთნოგრაფიული კოლექცია, ნაბდიდან დაწყებული, მოვერცხლილი ხანჯლით გათავებული.

საქართველოზე ოცამდე ნაშრომი დავბეჭდე. მათ შორის რამდენიმე „ბედი ქართლისაში“ გამოვაქვეყნე.

ვარ ავტორი ორი ისტორიული რომანისა, რომლებშიც ასახულია მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრება.

დავიწყე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა და თემად ავირჩიე „საქართველო-უნგრეთის ისტორიული და კულტურული ურთიერთობა“.

უკვე მესამედ ვარ საქართველოში. შემოვიარე თქვენი მთა-ბარი. შევაგროვე მეტად ძვირფასი მასალები.

აქ ისეთი მზრუნველობითა და ყურადღებით მეპყრობიან, რომ შესაფერისი მადლობაც კი ვერ გამომიხატავს.

ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავე.

ჩემი სადისერტაციო ნაშრომი იღებს სწორ მიმართულებას და ამაში დიდად დამეხმარნენ თქვენმა მეცნიერებმა ალექსანდრე ბარამიძემ და ილია ტაბაღუამ.

ვგრძნობ ქართველების მხარდაჭერასა და მზრუნველობას. მათ აინტერესებთ ჩემი ნაშრომი, რაც სავსებით გასაგებია.

მე ვილაპარაკებ ჩვენი ხალხის დიდ მეგობრობაზე.

თქვენი ერის ფიზიკურ და სულიერ სიმდიდრეზე.

წარსულსა და აწმყოზე.

ვილაპარაკებ ღიმილის ბიჭებზე, რომლებმაც ფაშიზმისაგან გაათავისუფლეს უნგრეთი.

დიდ საქმეს შევეჭიდე, მაგრამ მჯერა: საქართველოს სიყვარული გამამარჯვებინებს.

საუბარი ჩაიწერა
ჯემალ ქურხულმა

სურათზე — ლაიოშ ტარდი.

ჩვენი სტუმრები

● რამდენსამე კვირას იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ლოძის უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი **ბოგდან ბარანოვსკი**. იგი შეხვდა ქართველ კოლეგებს, რომლებმაც მასთან მოაწყეს მეცნიერული კონსულტაციები და დაეხმარნენ დაემთავრებინა კვლევა თემაზე: „პოლონური წყაროები კავკასიის ეთნოგრაფიის შესახებ“.

● ბელგიელი მეცნიერი ანდრე შაკობი მეცნიერულ მივლინებაში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ბერძნულ პალეონტოლოგიაში სპეციალიზაციისა და ქართულ ხელნაწერთა შესწავლის მიზნით. იგი გაეცნო ინსტიტუტის ფონდებს, კერძოდ, იოანე ოქროპირის (XI-XII საუკუნეები) ლიტურგიას, ხელნაწერი ტექსტების შესასწავლად და დასაბეჭდად მოსამზადებელი მუშაობის მეთოდიკას.

● თბილისს ეწვივნენ ამერიკელი მეცნიერები მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან **დევიდ ჰოაგი** და **რიჩარდ ბეტინი**. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში მათ წაიკითხეს ლექცია თემაზე „კოსმოსური ობიექტების მართვა, კოსმოსური ნაოსნობა, ფრენის ანალიზური ასპექტები“.

● *სამ დღეს იყო საქართველოში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსური დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის რუდოლფ როგლიჩეკის მეთაურობით.*

სტუმრებმა ინახულეს თბილისისა და რუსთავის სამრეწველო საწარმოები, დაათვალიერეს სიძველეთა ძეგლები მცხეთაში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა არჩილ ჭირაქაძემ დარბაზობა გამართა დელეგაციის პატივსაცემად.

● ბათუმი. აქ ჩამოვიდა ბულგარეთის ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბლაგოევგრადის საოლქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. პრამოშევი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა ბლაგოევგრადის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „პირინი“.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში ნახეს სპექტაკლები „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“.

ბულგარელი მეგობრები აჭარაში რამდენსამე დღეს დარჩებიან. ანსამბლი „პირინი“ გამართავს კონცერტებს თეატრში, მანქანათსაშენებელ და გემთსაშენებელ ქარხნებში, სამკერვალო ფაბრიკაში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აჭარისა და ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელთა მეგობრობა ხუთი წლის წინათ დაიწყო. ისინი ხშირად ესტუმრებიან ერთმანეთს, ეჯიბრებიან შრომაში.

16 დეკემბერს დელეგაცია თბილისს გამოემგზავრება (საქდესი).

ვინ იყო თავადი წერეთელი?

ოსკოვის გამომცემლობა „მისლმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა ბორის ალექსანდროვსკის მოგონებების წიგნი „განცდები უცხო მხარეში“.

ბორის ალექსანდროვსკიმ, რომელიც ახლა 80 წელს არის მიღწეული, შფოთითა და წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო. 1918 წელს როგორც ექიმი იგი წითელი არმიის რიგებში იმყოფება. ერთ-ერთ ბრძოლაში თეთრებს ჩაუვარდა ტყვედ.

უკუქცეულმა ვრანგელის ჯარისკაცებმა ტყვე ექიმი ძალით წაიყვანეს უცხოეთში. ბევრი იხეტიალა ბორისმა სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე მეტ ხანს კი საფრანგეთში იცხოვრა. ალექსანდროვსკიმ მხოლოდ 27 წლის შემდეგ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება.

სწორედ უცხო მხარეში გატარებულ დღეებს აგვიწერს ბორის ალექსანდროვსკი თავის წიგნში.

ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, სადაც ავტორი „რუსული პარიზის თეატრალურ და მუსიკალურ ცხოვრებაზე“ მოგვითხრობს. აქ ალექსანდროვსკი იხსენიებს, როგორც გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეს, ვინმე „თავად წერეთელს“. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ თავადი წერეთელი იყო ის ადამიანი, რომლის ინიციატივით ჩამოყალიბებული დასი შეესისხლხორცა პარიზის თეატრალურ სამყაროს და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მის ცხოვრებაში. როგორც ირკვევა, წერეთლის თეატრალურ დასს ჰქონდა საკუთარი დეკორაციები, კოსტიუმები. ეკონომიური ხელმოკლეობის მიუხედავად „რუსული პარიზის თეატრალური და მუსიკალური ცხოვრება“ 25 წელიწადს გაგრძელდა. იგი არსებობდა მისი დამაარსებლის — თავადი წერეთლის გარდაცვალებამდე.

სამწუხაროდ, ბორის ალექსანდროვსკი თავის წიგნში არსად არ იხსენიებს ჩვენს თანამემამულეს სახელითა და მამის სახელით.

და აი ერთ-ერთმა მკითხველმა, ტყვარჩელის მკვიდრმა პლატონ ბარქაიამ, წერეთლის სახელისა და მამის სახელის დასადგენად გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოაქვეყნა წერილი. მისი ვარაუდით გამორიცხული არ არის, რომ „თავადი წერეთელი“ დიდი აკაკის შვილი ალექსი წერეთელი იყოს.

პლატონ ბარქაიას წერილს ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია. მაშინ პატივცემულმა პლატონმა თვით წიგნის ავტორს გაუგზავნა ბარათი და „თავად წერეთელზე“ უფრო დაწვრილებითი ცნობების მოწოდება სთხოვა. ბორის ალექსანდროვსკიმ საპასუხო წერილში სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წლების სრბოლამ მას „თავად წერეთლის“ სახელი და მამის სახელი დაავიწყა. წიგნში გამოქვეყნებულ ფაქტებს კი მხოლოდ ასეთი დეტალი დაუმატა: თავად წერეთელს რევოლუციამდელ პეტერბურგშიც კარგად იცნობდნენ. იგი იყო კერძო საოპერო დასის ხელმძღვანელიო.

ამის შემდეგ პლატონ ბარქაიამ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას მომართა.

ჩვენის მხრივ „თავად წერეთლის“ პიროვნების ამოცნობა სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეჭვგარეშეა, ბორის ალექსანდროვსკის წიგნში ლაპარაკია აკაკი წერეთლის შვილზე ალექსი წერეთელზე. თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ალექსი წერეთლის მოღვაწეობა როგორც პეტერბურგში, ისე პარიზში, ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. პარიზში, ალბათ, არაერთი ქართველია, თავად წერეთელს — გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეს, პირადად რომ იცნობდა. თუ ისინი სურვილს გამოთქვამენ და გამოეხმაურებიან ჩვენს წერილს, მათ მოგონებებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ „სამშობლოს“ ფურცლებზე.

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში

ოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“ მესამე წელიწადია უშვებს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკას“ 200 ტომად.

ამ დღეებში გამოვიდა 27-ე ტომი, რომელშიც წარმოდგენილია გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემის რუსული თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა პოეტს, ქართული კულტურის დიდ მეგობარს ნიკოლოზ ზაბოლოცკის.

სატიტულო ფურცლის შემდეგ დაბეჭდილია შოთა რუსთაველის ფერადი პორტრეტი, რომელიც ქართულმა სამეცნიერო ექსპედიციამ აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით ჩამოიტანა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრიდან.


ტომში წინასიტყვაობის სახით დაბეჭდილია პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ვრცელი ნარკვევი „სიტყვა შოთა რუსთაველზე“.

წიგნს დართული აქვს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სარგის ცაიშვილის ფილოლოგიურ-ტექსტუალური ხასიათის ვრცელი გამოკვლევა, მისივე შედგენილი „ზოგიერთი ტერმინის, საკუთარ სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა“ ლექსიკონი.


წიგნი დასურათხატებულია სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის ცნობილი გრაფიკული ილუსტრაციებით. ტირაჟია 300.000 ცალი.

გამომცემლობა „ამირანში“

● ციურიხში გამომცემლობა „ამირანმა“ (იხილეთ „სამშობლო“ № 4) ახლახან გამოუშვა პროფესორ კიტა ჩხენკელის დიდი „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ მე-17 ნაკვეთი (შარიდან ქანამდე).



სურათებზე: ზევით — ლექსიკონის გარეკანი, ქვევით — ციურიხელი ქართველოლოგები, გამომცემლობა „ამირანის“ თანამშრომლები (მარცხნიდან) რუთ ნოიკომი, იოლანდა მარშევი და ლეა ფლური.



გივი ლომიძის წარმატება

ახლახან მოსკოვში მოეწყო მხატვარ-სატირიკოსთა ნაწარმოებების დიდი საერთაშორისო გამოფენა — „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

ჟიურის გადაწყვეტილებით ოქროს მედალი „მშვიდობისათვის მებრძოლი“, მსოფლიოში აღიარებულ კარიკატურისტებთან ჰერლუფ ბიდსტრუპთან (დანია), ჟან ეფელთან (საფრანგეთი), რაულ ვერდინთან (იტალია), ანტონ რეფრეჯიკთან (აშშ), კუჯრინიკსებთან (სსრ კავშირი) და სხვებთან ერთად ჩვენს თანამემამულეს გივი ლომიძესაც მიენიჭა.

ეს ქართველი სატირიკოსის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ჟურნალისტი კალი გულნარა ბახტაძე ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართულ პრესაში. არეს რამდენიმე წიგნის ავტორი. ბევრს მოგზაურობს. ინტერესით იკითხება მისი საზღვარგარეთული ჩანაწერები და ნარკვევები.

წინამდებარე მოთხრობას საფუძვლად უდევს რაჭის ერთ პატარა სოფელში მომხდარი ნამდვილი ამბავი.



თეფილა წავიდა

ღარჩა ამ დალოცვილ ღმერთს კალთაში წყლის ნატამალი? ცა ჩამოიქცა. ალიონზე, როცა გამოიდარა, დამბალმა მიწამ სლიპ გულზე სოფელი ვერ დაიჭირა, მოცურდა სახლი, მიწის შებარბაცება იგრძნო ცხოველმა, დაფრთხა ფრინველი, ჰერზე დაკიდებული ლამპა იქით გაიქცა, მერე აქეთ, კედელს მიენარცხა და გასკდა.

— მშვიდობით, ჩემო ფუძევ! — თეფილამ ჭვიმით გაბანილ ვაზის ფოთოლს აკოცა და ძუნძულით დაეშვა თავდალმართში.

რუხოს ამის დანახვაზე საფეთქლები დაებერა. სისხლი მოაწვა ტვინს. თვალებს, ბოლმა მიებჯინა ყელს.

— თეფილა, დაიცა, შე კაცო, გადაგეხვიო, ძმაო, — უნდა გასძახოს გზაზე დამდგარ თეფილას რუხომ და ენა ებმება.

— შენ უკან არ გავიარე, ცივა, შევიდეთ პალატში, — უთხრა ქმარს ტასომ.

რუხო დუმდა. არ ესმოდა ქალის მუდარა, ვერ ხედავდა, როგორ უთრთოდა ბებერი ძვლები. კარის მეზობელი მიდიოდა და ამ კაცს მიჰქონდა მისი გული, მისი გონება. ერთი საშოდან არ შობილა ეს ორი კაცი, თორემ სხვაფრივ ძმა იყო თეფილა რუხოსი — ჰერის გამყოფი, ლხინის მოზიარე. ახლა ეურებოდა ეს ძმა, მიდიოდა მისგან, სოფლიდან და თითქოს მიჰქონდა თავისი წილი სიმხნე. სოფელში სიცივე მატულობდა. ქარი პერანგს უფრიალებდა რუხოს, ძვალ-რბილში უძვრებოდა, თმასა და წვერს უწეწავდა.

— შე კაცო, გევითოშე. წავიდა ის კაცი, აღარ მოჩანს, შევიდეთ სახლში, — ტასო რუხოს შინისკენ ეწეოდა.

რუხო იდგა, ბილიკს გასცქეროდა და ფიქრობდა მიწაზე; ჯერ იყო და გულზე ბალახსაც არ იკარებდა. გარეთ მოწეულ პურს და ლობიოს ჭამდა რაჭველი კაცი. დიდხანს იყო მოუსავალი ამ სოფელში მიწა. ადამიანი ეჭიდავა, არ მოასვენა, ვიდრე მისი გულიდან ხვავი არ ამოჭაჭა. მიწამ ჯეჯილი დაიყარა გულზე და გაიხარეს სომიწოელებმა. თავი ანებეს გარე-გარე ლუკმისთვის წანწალს, რომ ისევ უღალატა მიწამ — ახლა წყალი ჩაუდგა გვერდებში და მეწყერად მოაწვა სოფელს. ღმერთი იყო თუ რაღაც განგება, არ ხუმრობდა. სულიერს ანიშნა, — წადიო, ვიდრე ცოცხალი ხარო, უსულო ერთის დაკვრით აღგავა დედამიწიდან! ხევში ეგდო დამხრჩვალი ვაზი, ვაშლითა და მსხლით დახუნძლული ვეება ხეები, ყველაფერი ხევში ეყარა, თითქოს ეწადა მიწას ადამიანის ხელით მოტაცებული დღვლათის დაბრუნება.

წავიდა თეფილა?! რუხოს ყურში ისევ ესმოდა ამ კაცის ფიცი: გინდ გასკდეს მიწა და ჩემი მონაგარი შიგ ჩაიტანოს, აქედან ფეხს ვერ მომაცვლევინებთო.

თეფილას მაშინ ერთხმად აუბა მხარი სოფელმა, იხვეწებოდა თავმჯდომარე:

— წყალში ხომ არ ვდგავართ, თქვე დალოცვილებო! მთავრობამ ხელი გაგვიმართა, იზრუნა ჩვენზე. იქ, სადაც მიხვალთ, მიწაც დაგიხვდებათ და სახლებიც მზამზარეული.

— ჩემი შებოლილი პალატი სხვაგან სამოთხეს მირჩევნია, — ჯიუტობდა თეფილა.

ამ ეზრს ადგა მთელი სოფელი.

მიწა გარინდული უსმენდა ხალხს, ერთხანს თითქოს შეუშვა ხელი, თითქოს უცდიდა, როდის მოიკრეფდა გონებას ადამიანი და, როცა სიკეთე ვერ დაუნახა, გაჯავრებულმა ისევ იცვალა გვერდი.

დაფრთხა ფრინველი, ლამპა კედელს მიასკდა. თავბრუ დაესხა ადამიანს, დაბარბაცდა და დაჯდა მიწაზე.

თეფილამ ნაღრძობი თქო მიწიდან ძლივს ათარია. რუხოს შეხედა, რუხო მიუხვდა ბეჭერს სათქმელს და შეუყვირა: მე რას მიყურებ? ჩემი აყოლა ვის რად არგია? გინდ დღეს მოემკვდარვარ, გინდ ხვალ...

— მივატოვო, ბიჭო, აქაურობა?! — თეფილას ხმა აუთრთოლდა.

— თავი გაბია, თვითონ გადაწყვიტე, — გაუჯავრდა რუხო.

სული ტკბილია. მიწის მეორედ შებარბაცებამ თეფილა დააფრთხო. გატეხა სატყუა ხალხმა და დაიძრა თავის გადასარჩენად. ორ დღე ღამეში ერთი კაცივით გაიკრიფა მთელი სოფელი.

— კაცუნა, შევიდეთ სახლში, — ტასომ ისევ შეავლო ხელი რუხოს.

რუხო ფიქრებიდან გამოერკვა, ზანტად შემობრუნდა და ტასოს გაჰყვა.

ბებრები მდუმარედ აუყვნენ აღმართს, უხმოდ შევიდნენ პალატში, რუხო კარადასთან შეჩერდა. ბოთლი ხოტბებნა, მოიყუდა, მერე ზოზინით მივიდა ტახტთან, ფეხსაცმელი გაიხადა, ბლუზა აიძრო ტანიდან და შეიკურთხა.

— ჰა? — გაეპასუხა ტასო.

რუხო ნაცემივით მიეგდო ტახტზე და ბუხარს მიაშტერდა. ბუხარში მუგუზალი ღვიოდა, ენთო პატარა ცეცხლი. ის ცეცხლი ახლა რუხოს გულს უთბობდა, ათბობდა მის კერას, მის ბებერ ძვლებს. გარეთ ციოდა, ძალიან ციოდა, სითბო როგორ იქნებოდა, როცა სოფელში სუნთქავდა ორი ადამიანი. იდაყვს დაეყრდნო, რაფაზე აფარებული ფარდა გადახსნა, გარეთ ბნელოდა. შავი ღამე იყო. ერთი ლამპის შუქსაც ვერ ხედავდა რუხო. მეზობლის სუნთქვა არ ესმოდა და სული ეხუთებოდა.

— დადე თაუკა ბალიშზე; ასე რამ წაგახდინა, — გაუწყრა ტასო.

— ღმერთმანი, არ მეგონა, თეფილა თუ შეელეოდა ჭკუასრობას, — ძლივს ამოღერღა რუხომ.

— იქნებ გგონია, შენ სხვაფრე მოიქცეოდი? თავი მაშინ არ გაღირს არაფრად, როცა საზრუნავი არავისზე გაქვს. იმას კი კუდუნები ჰყავს.

— გაეშვა ბიჭები, თვითონ დარჩენილიყო, გინდ მეწყერს მოუკლავს ბერიკაცი, გინდ დარდს თავის სოფელზე.

ტასომ სკამი მიიჩოჩა ტახტთან, სკამზე თეფშით ლობიო და ნატეხი მჭადი ეწყო.

— შეჭამე რამე.

რუხო ჰერს უყურებდა. ჰერი ნაჭერ-ნაჭერ ჭვარტლს შეეჭამა. ერთგან ღრუბელი იხახებოდა, თითქოს კაცის სახესაც ხედავდა რუხო, აქეთ კუთხეში ძაღლის თავიც ეჩვენებოდა.

— ტასო გძინავს?

— ცხენი ხომ არ ვარ, შე კაცო... ზეზეულად რა დამაძინებს?

— ჯოლბორდი მაინც სად გაქრა, ქალუკა?

— ძაღლი მადარდე ახლა!

— დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა. პირველმა იმან შეიცხადა, ისე ყმუოდა, თითქო მკვდარი უდევსო წინ, მერე ისიც წასულებს გაჰყვა.

— მობრუნდება, თუ არადა, წაიღოს შენი ჭირი, — თქვა ტასომ.

რუხო გაყუჩდა. ისევ ჰერს შეხედა. იქ ძაღლიც დადის, ყვინჩილა მამალიც და ვიღაც კაციც. რუხო აკვირდება ჰერს.

— ნეტავ ვინ არის ის კაცი? — ტასო, ბოცო სადღა გაქრა? იმას მაინც რა ებადა, გახრეკილი თავის გარდა!

— რა ვიცი, ჰი...

— ტასო, წერილს ვინ მოგვიტანს?

— ქვე ფეხები რისთვის გინდა, ჰი?

— მე. მეუბნები?

— აბა, ვის ვუთხრა? კუტი ხომ არა ხარ; ჩახვალ და ამოიტან.

— რატომ ვარ კუტი? ჩავალ, ქვე რავა არ ჩავალ? ნელ-ნელა დავყვები ბილიკს და... მერე ნელ-ნელა ამოვყვები ისევლე. აბა, არ ჩავალ? — რუხომ თავი ბალიშზე დააგდო.

...

ვათენდა... გარეთ ისევ ჟინჟღლავდა, ფოთლებზე წვიმა ხმაურობდა და ეს იყო ახლა მიტოვებულ სოფლის მაჯისცემა.

— ქვე რავა ჩამოგტირის ცხვირ-პირი? ამ მიწის ბედი ხომ არ გატირებს? — თქვა ტასომ და ცას შეხედწინ გუბე ვერ დაინახა და შიგ ჩაბოტა.

— ფუი, — აღმოხდა მას. — ამისთვის გელრიჯე ღმერთო? შენდობა არა გაქვს? მძიმე ვარ განა, მეც ვეღარ მზიდო? იქნება გინდა მოსპო ამ სოფელში ადამიანის სახსენებელი? — ტასომ ღმერთს მომგონა შეაგინა, ტალახში ჩაფლული ფეხი ამოიტანა, რომ ისევ ჩაეფლო შიგ. უფრო გაჯავრდა და მოჰყვა:

— ვერა, ვერ მომერევი, ვიდრე სული მიდგია პირში, ვიდრე ცოცხალი ვარ, არ მეშინია შენი. მე ვარ, მე შენი ბატონ-პატრონი. გჯიგნი, გაწვალებ. შენ კი მაბარებ: პურს მაჭმევ, ღვინოს მასმევ. აი გულხელი თუ დავიკრიფე, ვიცი, მაშინ მომდგები, უღვთოდ მომდგები, ყველაფერს მაზღვევინებ; რაც ფერი და ხორცი შემასხი, თვითონ შემიჭამ, ახლა ვერ მომერევი. — ტასომ შეწებებული ფეხი მიწიდან ღონივრად ამოგლიჯა და გავიდა წინ. მიდის ტასო, ატალახებული მიწა ფლოსტებს ეზიდება. ფეხი უსხლტება. მაინც მიდის და ამხნევებს თავს: ნუ გეშინია, ტასო, აყალოა, წყალში აზელილი მიწაა, აი თეფილას პალატი... ეზოს წინ ფიჩხი ყრია, ტასომ მკლავზე დაიწყო ფიჩხი, წელში გაიმართა, რომ თეფილას სახლიდან ჩქამი შემოესმა. ვინ უნდა იყოს? ძაღლი თუა; ჯოლბორდი, ჯოლბორდი! — წამოიძახა ტასომ, ფიჩხი ზღურბლთან დაყარა, ტალახიანი ფეხები ზედ გადაალაჯა და მოღიავებულ პალატში შევიდა.

— ჰეი, ვინა ხარ მანდ?

პალატი ცარიელი დაუხვდა, ცივი. ბუხარში ცეცხლი გამქრალიყო.. რაღაცა იყო, ისევ გამოიღო ხმა, გასკდა, გატკაცუნდა და ტასოს ფეხთან აეწვა, ხელი იტაცა ზედ. ტკაცუნი ისევ და ისევ გამეორდა. შეშინებულ ტასო ბუხრის გულს მიაშტერდა: იქ, მუცელგაფატრული წაბლი ეყარა.

— წაბლი? — აღმოხდა ტასოს. ბუხრის წინ გახრებულმა დაიჩოქა, ნაცარი გადაქექა. წაბლი ნაცრიდან ამოკრიფა, ხელისგულზე დაიყარა, თითები დაეწვა. წაბლი კალთაში ჩაიყარა. — რუხო! წაბლი, წაბლი! — იძახდა ხმამაღლა ტასო და გახარებული კბის კალთას დასცქეროდა. შემწვარი ნაყოფი კალთაში თავისით იკროლებოდა.

სიზმარი

რუხო ტახტზე გაშოტილა, თვალები დახუჭული აქვს, მაგრამ ხედავს, რომ მიწა იწვის, ცეცხლი ეკიდება ხეს, წყალს, ქვას. ცეცხლი გრგვინავს. — უფ, — ოხრავს რუხო. — კიდევ კარგი, რომ ხალხი გასულა სამშვიდობოს. მერე უეცრად გაქრა ცეცხლი. ბოლი გაიფანტა... ნაცარტუტად ქცეულა სოფელი... აუ! — აღმოხდა რუხოს ბღავილი. რუხომ თვალები მოისრისა და ახლა მის წინ კაცი დაინახა. ხელით ანიშნებს — მომყევიო, რუხო მისდევს. უეცრად ეს კაცი თვალიდან დაეკარგა. რუხომ უკან მიიხედა; მოჰყვა მის ძებნას, რომ ახლა თავისი კარის ზღურბლთან ორნი შენიშნა. ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი. ჭრელჭრულები აცვია ორივეს. ხელთ მსხვილი ჩემოდნები უპყრიათ.

— მამაჩემო! — იყვირა დიდმა და რუხოს შეეგება.

რუხო გაქვავდა.

— მამაჩემო! — დაიჭიხვინა იმავე ხმამ და ეს კაცი რუხოსკენ წამოვიდა. რუხომ უკან დაიწია, გაიქცა და ხეს მიასკდა.

— ვინა ხარ? — შეღრიალა მან.

— მამაჩემო, ვერ იცანი შენი ბასილა?

რუხოს თვალთ დაუბნელდა, ბრუ დაეხვა. ვინა ხართ, ვინ? რუხო ორივეს აკვირდება. ყმაწვილს ჩააცივდა. იცინის პატარა კაცი და ახენს დაბრუნდულ კბილებს. რუხოს თავი წიხქვილის ქვასავით დატრიალდა. დაყრავდ: ცა, დედამიწა, გარშემო ყველაფერი ბრუნავს, ხეები, სახლები და ეს ორი ადამიანი. რუხო ოხრავს, ბორგავს — ბასილა, ბასილა არა ხარ შენ? —რუხომ დიდის ხელები მხრებიდან მოიშორა, ჩაიმუხლა და მკერდში ჩაიკრა პატარა კაცი, შავქოჩორა ბიჭი.

— ბებერო, ვერ მიცანი? ეს ჩემი შვილია, შენი შვილიშვილი. შე კაცო, ამდენი დრო გავიდა, რაც არ გინახავხარ, სულ ყმაწვილი ხომ არ დავრჩებოდი? ხანი მომეცა, დღე მომემატა, თმა გამითეთრდა, ხედავ? დაგეწიე, მამაჩემო. ეს პატარა რუხოა, მამი, შენი სახელი დავუძახე...

— შვილო, შვილო, — ყვირის, ღრიალებს მოხუცი და გულში იხუტებს კრეჭია ბიჭის თავს.

დიდი კი იცინის. — მამი, შევიდეთ სახლში, დედუა მომენატრა. დედუა სად არის? დედი, დედი!

რუხო ყურს არ უგდებს მას. ყმაწვილს ჩასციებია თვალებით: ასე მოჩიტული გაჰყვა რუხოს ბასილა საშოვარზე შორეთში. ბევრი იარეს მამა-შვილმა, ცხრა მთა, ოკეანე გადაიარეს და ნიუ-იორკში ვინმე ნონსტონს შეეკედლნენ. აქ ლუკმის ფული იშოვა რუხომ. დააცხრო კუჭი. მაგრამ ხანი გავიდა და გული, გულმა დაუწყო ტეხა. შიოდა, სწყუროდა, ითხოვდა შვილას. არა, მეტის მოთმენა აღარ იქნება, — კაკლის ჩრდილს დანატრულმა რუხომ ისევ თავის ქვეყანას მიაშურა.

პირშერცხვენილი დაბრუნდა შინ. ფული არ გვეყოო, ერთად წამოსვლა ვერ მოხერხდაო. — თავი იმართლა ცოლთან. მოვკვდი უნათესაოდ, უშენოდ, ის ბიჭუნაა, დარდს უფრო გაუძლებს, ფულს. როგორმე იშოვის, ისიც ჩამოვაო.

ტასოს არაფერი უთქვამს ქმრისათვის. არც მერე უსაყვედურებია. ახლაც დუმს. არც კი ახსენებს ქმართან შვილს. არ უნდა ბერიკაცს სატკივარი აუმალოს. განა ვერ ხედავს ტასო, კაცი ისედაც დალია დარდმა. რუხო ქალი არ არის, რომ იტიროს. სამაგიეროდ, შვილზე მონატრებული არაყს სვამს და გულს ითუთქავს. ტასო ჩუმად არის, ორმოცდაათი წელია ჩუმად არის, მალავს ცრემლიან თვალებს. მარტო ღამით, საბანქვეშ, ქვითინებს: ღმერთს ევედრება: სიმწარეს ნუ ჩაატან რუხოს საფლავში. ისე არ მოკლა, შვილი რომ არ ანახოო.

— ტასო, აგერ ბასილა ჩამოსულა, ქალო, ბასილა, სადა ხარ, ქალუკა? აქ მოდი, გოგო. მორჩა გოგო, ჩვენი წამება ახლა. ველარაფერი მოგვერევა. ჭირი მეტაკოს თუნდაც, მოდი, მოდი, მეწუერო, ჩამოიქეცი ცაო, ესეც შენ, მიწავ, მოგერია თუ არა ადამიანი? შენი გულიდან მდინარეები გადმოჩქეფენ; შენ ერეკები მათ და ისინი მიდიან შორს, ძალიან შორს, მიდიან და იკარგებიან. სათავეს ვერასოდეს უბრუნდებიან. ადამიანი კი მდინარეზე უფრო ძლიერია, დროზე უფრო ძლიერი!... ცოცხალი კაცი წავა შენგან და სადაც უნდა წვაიდეს, თუ მოისურვა, ისევ მოვა, კერას მაინც დაუბრუნდება. ქალო, სადა ხარ, შე დღეუბედურო? დაბრუნდა შენი ბოშუნა, სტუმარი მოიყოლა, სცივა ამ კაცს, შეშა შეუკეთე ბუხარს, ტასო! — ყვირის რუხო, ყელს რალაც ებჯინება, გული თითქოს ამოდის ზევით და ახრჩობს. რუხო თვალებს ახელს — სიზმარია თუ ცხადი?

ოთახში არავინ არის.

რუხო წევს, ოფლში გაწუწული, თავი მძიმეა, ტკივილისავით მძიმე.

სიყვარული

სამშვიდობოზე გასული ხალხი ჯერ ისევ სოფლის ახლოს წრიალებდა. ბოცო კანტორის წინ საღებავ-მიმხმარ კასრზე ჩამომჯდარიყო და აფორიაქებულ ხალხს უთვალთვალებდა. ველარ ცნობდა დინჯსა და მშვიდ მეზობლებს, ნერვიულობდნენ, მირბი-მორბოდნენ, საზრდოს იმარაგებდნენ, თითქოს აქვე, თავის მიწაზე კი არა, გადასახარგავში მიდიანო.

— ჭამე! — შიომ ჭადის ნატეხი მიაწოდა ბოცოს.

ბოცომ შეხედა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— დალიე, ბოცო, შეგახურებს! — თეფშლამ არყის ბოთლზე უჩვენა, — ბოცომ ტუჩთან თითები მიიტანა.

— თუთუნი უნდა, — თქვა შიომ და მარვლის ჯიბიდან ქისა ამოიღო, ქისიდან — დაკეპილი ფთთოლი და ხელისგული აუწვა ბოცოს.

— პური ჭამე, პური, — ანიშნა ლანიკომ.



ბოცომ ჯიბიდან გაზეთის ქაღალდი ამოაძრო, ზედ წეკო დაუყარა, დაგრისა ქაღალდი, გააცია და ენა აუსვა. ლასიკომ ანთებული ასანთი ბოცოს ტუჩებთან მიუტანა. ბოცომ მოქაჩა. ღმერთი გიშველის, — ამბობს გულში ბოცო. თუთუნი წამალია ახლა ბოცოსათვის; უმძიმს, უჭირს ამ ხალხთან განშორება, გული ეთუთქება, მაგრამ ვინ დაუჯერებს? მუხლია ბოცო. განგებამ ენა წაართვა და რადგან ენა აღარა აქვს, ამ ხალხს ჰგონია, ტვინიც არა აქვს, გულიც არა აქვსო. ბოცოს გული ემდუღრება: მიდიან მეზობლები... ვინ იცის, ნახავს კიდევ მათ? ენანება ბოცოს მეზობლები, ბოცოს დიდი და კეთილი გული აქვს, ბოცოს სიყვარული შეუძლია... ბოცოს ურმობიდან დააქვს ერთი ქალის სახელი. ბოცოს მასზე მეტი ქალი არ ჰყვარებია. ტასო გახსოვს? გახსოვს ქალუკა, ბებერი კაკლის ხე... იმ დღესაც აქ მოელოდა ტასო ბოცოს. ბოცო კი თავისიანებმა მარანში შეაგდეს: ქორწილი შენია და საქორწილო ღვინოც თვითონვე დაწურეო.

ბოცომ ის ღამე მარანში გაათენა. ალიონზე ლასლასით წავიდა შინ, თავი სტკიოდა, სტეხდა. სიცხიან ბოცოს კომბოსტოს ფოთოლში უოფლეს შუბლი, ძმარში უზილეს ტანი. სხვა არაფერი ახსოვს... ტკივილმა რომ გადაუარა და ფეხზე წამოდგა, კაკლის ხისკენ გაიქცა. მარანს ჩაურბინა, მარანზე დიდი კლიტე დახვდა. გაიოცა, ვინ დაკეტა მარნის კარები? მარნის სახურავზე ნუშის გაკვირტული ტოტი იცინოდა... ნუთუ გავიდა შემოდგომა? ზამთარიც გავიდა? გაზაფხულია?! რამდენ ხანს მძინებია, რამდენ ხანს მტკივებია თავი? — ფიქრობდა ბოცო და მიდიოდა. სიმღერა შემოესმა. გოგო-ბიჭებს მკლავი მკლავზე გადაეჭდოთ და კაკლის ხის ქვეშ ფერხულს უვლიდნენ. ბოცომ წრეში ტასო დაინახა. მიიჭრა მასთან და წრეც აქ გათიშა, გაშალა ხელი და გადასდო მხარზე. ტასო დაფრთხა, ბოცოს დაუსხლტა და რუხოს ამოეფარა.

...„მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი ბოლოწითელი“, — ამბობდა წრის ნახევარი.

„მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი ბოლოწითელი“, — იმეორებდა მეორე ნახევარი.

...ფერხული ხურდა. ბოცოს გაეღიმა, კიდევ სცადა წრეში ჩადგომა, მაგრამ ახლა წინ რუხო გადაეღობა, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. ბოცოს არ ეპიტნავა მეზობლის ბრაზიანი სახე. უნდოდა მოედო კეფაში, მაგრამ ტასო გადაეფარა რუხოს. გაოგნებული ბოცო მოშორდა ტოლებს. მოშორდა ფერხულს და განზე გადგა. მას შემდეგ განზე დარჩა ტოლებისგან, სოფლისგან, ტასოსაგან. ბოცოს ფერხული აღარასოდეს უცეკვია. მოშორდა მეზობლებს და შეიყუჟა პალატში. მუნჯ ბოცოს საქმე მაინც მიანდეს. ფოსტა მოჰქონდ-მოჰქონდა სოფელში. დიდ ჭკუას არავინ ეკითხებოდა, არც ტოლად იხდიდა ვინმე. მაგრამ ბოცოს მაინც უყვარდა ეს ხალხი. ახლა მიდიან მეზობლები და ბოცომ არ იცის, რა ქნას, გაჰყვეს ამათ თუ... აქ რომ ტასო დარჩა?... არა, არა, სად წავა ბოცო? სხვაგან რა დაჭკარგვია? არა, ბოცო ვერ მიატოვებს სოფელს, ტასოს წერილებს ვინღა ამოუტანს ფოსტიდან? დედაბერს ერთი სიხარული აქვს, ხანდახან ბოცოს შორეთიდან მოსული შვილის წერილი მიაქვს, იმას ვერ დაუკარგავს.

მუნჯი მეზობლებს თვალით გამოეთხოვა, თოფნაკრავივით წამოიჭრა და სირბილით დაადგა ბილიკს სოფლისაკენ.

• • •

— მეძახდი, ტასო! აქ რას აკეთებ, შე ქალო?

ტასო შეკრთა. მოღიავებულ კარებში რუხო იდგა. ქალმა ხელში მოიგდო კაბის კალთა, ფეხზე წამოიჭრა და რუხოსთან მიირბინა.

— შემოგევლე, ერთი შეხედე ამას!

— წაბლია?

— ჰო, ჰი!

— თეფილას ცეცხლი შეუნახავს. ბოშუნები წაბლს წვავდნენ წუხელის, — ტასომ ბუხრის წინ ჩაიმუხლა, ხელით გაჩხრიკა ნაცარი, გული გადაუშალა.

განახშირებულ ბუხარში მუგუზალი წითლად აღადღადდა.

— მერე, რას უცქერი? გახსენი ქალუკა ღადარი, — თქვა რუხომ და გახარებული ბუხრისაკენ წავიდა.

— დავანთოთ?! — ტასოს კუთხეში მიყრილი ფიჩხისაკენ გაექცა ხელი.

— ვერ ხედავ, ცეცხლი სულს ღაფავს. — რუხომ ფიჩხი აართვა ტასოს და ბუხარში ჩატეხა.

— აქეთ გამოდი, ქალუკა, მაგას მე მივხედავ. თავი არაყი წამოვიღე. ისეთი მაგარია, შეშას კი არა, ქვას შეჭამს, — რუხომ ფიჩხზე დაამხო ბოთლი.

პალატში არყის სუნი დატრიალდა. ბუხრის პირიდან ცეცხლმა იფეთქა.

— აბა, რუხო, დაუმატე, — ტასო ოთახში მიმოფანტულ ქაღალდებს დასწვდა და ბუხართან მიარბენინა.

— არ გინდა, აღარ ჩაქრება, გადარჩა სიკვდილს ცეცხლი. ესეც შენ, — რუხომ არყიანი ბოთლი ცეცხლზე ისევ დააპირქვავა.

— არიქა, აქეთ გამოდი, კაცუნა, ალი არ მოგწვდეს!

— დამაცა, — რუხომ ცოლს ხელი გააშვებინა. დასწვდა ბუხრის კუთხეში მიგდებულ ჯირკს და აბრიალებულ ფიჩხზე დაამხო. კუნძმა ფიჩხი ჩატეხა და ჩაჯდა შუაგულში.

— ესეც შენ! — რუხომ ცეცხლზე არაყი კვლავ მოასხურა.

იისფერი ალი კუნძს ჯერ გვერდიდან აეკრა, მერე გარშემო და ბუხარი მოჰყვა გუგუნს. გუგუნებდა ბუხარი. გუგუნებდა პალატი. ზანზარებდა მიწა, წიოდა ყავარი შემოთ და რუხოს დასცხა. დასცხა როგორც წუხელის, ოფლში გაიღვარა.

ბუხარმა ცეცხლის წითელი ენა გარეთ ისროლა და რუხოს მარჯვენაზე წაეპოტინა.

— გამოდი, კაცო, არ წაგეკიდოს, — შეეშინდა ტასოს.

რუხოს ნაბიჯი არ მოუცვლია. ცეცხლი არ კბენდა, ცეცხლი ლოკავდა კაცის მარჯვენას, ლოკავდა როგორც ძაღლი შინდაბრუნებულ, დიდი ხნის უნახავ პატრონს.

ჯოლბორდი

სად მიხვალ, ჭი? წვიმს, სახლუკაში არ შევიდეთ? — არა, არა, მომყევი, ტასო! ერთი ბუხრის სიმბო რას ეყოფა, სოფელს? წამოდი, ქალუკა, სოსიასთანაც დავანთოთ ცეცხლი, ნიკოსთან დავანთოთ...

— შემოგევლე, ნავთს გამოვიტან, შეშა ნოტიოა და გაგიჭირდება...

— არ გინდა, ქალუკა, არა, ოღონდაც ფიჩხი დამიხვევე. ხედავ, ტასო? — რუხო შეჩერდა. ქალს გალეულ მხრებზე ხელი გადასდო და თეფილას სახლზე საკვამური დაანახა. იქიდან ბოლქვებად ამოდიოდა კვამლი...

— ხედავ? ვის ეგონება ახლა აქაურობა მიტოვებული? საკვამურიდან ამოსული ბოლი სოფლის სიცოცხლის ნიშანია, ღამე კაცი სოფელს შუქით მოაკვლევს; ჩემს სახლში ანთია ცეცხლი, თეფილასთან ანთია, მომყევი, ტასო, ყველასთან დავანთოთ, დავანთოთ! — რუხო თავქვე დაეშვა. უცებ შეჩერდა: ძაღლის წკავ-წკავმა მოსტაცა ყური, შედგა, სმენა დაძაბა. ტასოს ძნელად ესმოდა შორი ძახილი. ახლა ყური მასაც არ ღალატობდა, ძაღლი ყეფდა სოფელში. დედაბერი აფორიაქდა, კაბის კალთები აიკრიფა და ჩქარი ნაბიჯით ქვემოთ დაეშვა, რუხოს დაეწია.

— არ გესმის, კაცუნა? ჯოლბორდი მოჰყეფს, ჯოლბორდი.

— ჩუ, — ჩააჩუმა რუხომ.

— ჯოლბორდია, შე კაცო, ჯოლბორდი!

— ჩუ! — რუხომ ცოლს ხელისგული აუფარა ტუჩზე, ძაღლი სულ ახლოს ყეფდა.

— ჯოლბორდია, ღმერთმანი, ჯოლბორდი, მართალი ხარ, ტასო! — აღმოხდა რუხოს.

ყეფა თანდათან გაძლიერდა და გორაკზე ქაქანით ძაღლი ამოვარდა.

— ჯოლბორდი! — აღმოხდა ტასოს და ძაღლს ხელგაშლილი მიეგება.

რუხო ძუნძულით მიჰყვა ცოლს.

სირბილით გათანგული ძაღლი ტასოს მკერდზე აებობღა. თავი პატრონის მკლავებში ჩამალა და წკმუტუნს მოჰყვა.

— ჯოლბორდი, ჩემო ჯოლბორდი, — ტასოს თვალზე ცრემლი აკიაფდა, ხელები აუთრთოლდა.

— მოიცა, ადამიანო, არ წაგაქციოს ამ სამგლემ! — რუხომ ძაღლს ქუსლი უთავაზა.

ძაღლი მოშორდა ტასოს და ენაგადმოგდებული ახლა რუხოს დაეძგერა.

— სად დაძრწი, შე სამგლე? — რუხომ ძაღლს ქეჩოში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია.

— ნუ, კაცო, ნუ მოახრჩვე ძაღლი! ჯოლბორდი, ჯაჭვი სად დააგდე? — ტასომ ძაღლს კისერი მოუსინჯა. — დაუკარგავს ნახევარი. ბარემ ესეც მოაშორე, ახლა ვიღას დაეტაკება.

— აქ მოდი, ჩემო ჯოლბორდი, ვერ მიატოვე აქაურობა, განა? ვერ შეგველიე? — რუხომ ძაღლის თავი მუხლებში მოიგდო. კისრის ჯაჭვს ცერი გამოჰკრა.

ჯაჭვი ჩხრიალით დაეშვა მიწაზე. ძაღლი გაწვა პატრონების წინ და მოჰყვა თამაშს.

მუხასამოფარებული ბოცო თვალს არ უჯერებდა, ის კარგად იცნობდა ამ ძაღლს. ავი იყო და დაუნდობელი. თვით პატრონსაც არ ინდობდა. ძვლის მიმტანსაც კი უღრენდა. სოფელში თექვსმეტ კომლს ეს ერთი ძაღლი ჰყავდა. რა იქნებოდა, ამ საზრიან ხალხს ერთი ძაღლიც მოეყვანათ? კაცი ხომ ვერ ძლებს უკაცოდ? ძაღლი რადგან ძაღლია, ძაღლურად უნდა დალიოს წუთისოფელი? მიტომ იყო ჯოლბორდი ავი და კაცთმოძულე. ბოცოს ეცოდებოდა ჯოლბორდი, ეფერებოდა ძაღლს, ის მაინც არ იკარებდა მუნჯს. უყეფდა, უღრენდა.

ახლა ეს ძაღლი არ ჰგავდა ადრინდელ ჯოლბორდს. თვინიერი იყო და მოსიყვარულე. ფუმფუფულა ბეწვი ადრე დიდებულ იერს რომ აძლევდა, წვიმას დაელბო, ქეციანსა ჰგავდა, ტალახში ამოგანგლული.

ბოცო ხეს მოშორდა. ძაღლმა ყურები ცქვიტა, იმ წამსვე იყნოსა მესამე კაცი, თავი ანება პატრონს. დაღრინა, კბილები ააღრჭიალა, მოსწყდა ტასოს კალთას და ბოცოსკენ გაქანდა. რუხომ ხელები გაშალა და გახარებულმა შესძახა:

— ბოცო, ბოცო მობლაყუნობს.

— აუ, დაგლეჯს მაგ საცოდავს, უშველე, რუხო! — შეჰკივლა ტასომ.

ბოცო გაშრა, თვალები დააცეცა, დასწვდა კეტს. ძაღლი ეძგერა ბოცოს, ნიკაპი აუღოკა და მოჰყვა ხტუნვას მუნჯის წინ.

— ბოცო, მობრუნდი, ჩემო ბოცო? აკი არცა მჯეროდა, — რუხო მუნჯს შეეგება.

ბოცოს გაეღიმა, ჯოლბორდის საცემად მომართული კეტი გადააგდო, იდაყვით მოიწმინდა ძაღლის ენით კალოკილი ლოყა.

— ხომ არ დაგკბინა, ბოცო? — მიეჭრა ტასო ბოცოს. — ბოცოუკა, ხომ არაფერი მომტანე, ჩემო ბოცოუკა, ფოსტაში არ შეგივლია? ჩემი ბასილას წერილი არ მოსულა? — ტასომ ჯიბე მოუსინჯა ბოცოს.

მუნჯს ღიმილი შეაშრა პირზე.

— აააა... — წაილულღუღა ნირწამხდარმა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— აცალე, შე ქალო, სულის ამოთქმა, ვერ ხედავ, ზურგი გალუმპული აქვს, სველია, ტანში აუყინებს.

— წამოდი, ბოცო, გაშრი, ცეცხლი დავანთოთ შენსა. უნდა გაშრე, — რუხო დაიძრა.

მუნჯი მორჩილად გაჰყვა. წინ ძაღლი დაწინაურდა.

კაცებმა კარგა მანძილზე მოიტოვეს ქალი.

ტასო მისდევდა მათ. უხალისოდ მიაბიჯებდა გულხვედიანი. გადაკარგული შვილის მოგონებამ ააფორიაქა, გული ატკინა ისევ. ტასოს შვილი ენატრება. ტასო შვილს მოელის, ორმოცდაათი წელია მოელის, ხალხნო, მოვკვდი, დაგიბრუნდებაო, ეუბნება რუხო. სადა ხარ? სადა ხარ, შვილო, — ტირის ტასო.

ბოცომ უკან მოიხედა. ატირებული ტასო რომ დაინახა, შეეგება, მკლავიდან ფიჩხი აართვა. ტასოს არაფერი უთქვამს. ბოცომ გზა განაგრძო. ტასო მიჰყვა უკან.

უცებ მათ წინ ცაში შავი ბოლი ავარდა. ეს ბოცოს ბუხრის კვამლი იყო. რუხოს უკვე დაუნთო ცეცხლი. კვამლი ცაში ადიოდა, ნელ-ნელა კარგავდა ფერს.

ტასომ ნაცრისფერი ბოლი თვალით ზეცაში მიაცილა.

სამშვიდობოზე

თხუთმეტი წელიწადია სოფიწოში არ ჩასულა თეფილა. თხუთმეტი წელიწადია არ უნახავს თავისი სოფელი. განა შორს არის გუდაუფიდან? ჯანი მისცა, ფეხით ივლიდა იქამდე, მაგრამ სადღაა ძველი მუხლი?

ზღვის განპირას მაღალი თეთრი სახლი დგას. აქ ცხოვრობს ახლა თეფილა, აქ ცხოვრობს მთელი მისი სოფელი. სახლიდან ზღვამდე ათი ნაბიჯია სავალი და იქამდე ჩასვლაც უჭირს თეფილას. მიდის ძლივს, სვენებ-სვენებით, მერე დაჯდება თბილ კენჭებზე. მუხლს მოიეცავს და გაჰყურებს ლურჯ ზღვას, შორს, ძალიან შორს, იქ, სადაც ზღვა ცას უერთდება. თეფილა თავის სოფელს ხედავს, თეფილას მუხლმა უმტყუნა. ვერ მიდის სოფიწოში, სამაგიეროდ შვილები დადიან, მეზობლები მიდი-მოდიან და მოაქვთ ამბავი.

სოფელი ისევ სუნთქავს. აქ ძველებურად ყვავის ვაზი, ისხამს კაკალი, დგანან სახლები, ტასო ისევ ცოცხალია, შვილს მოელის შორეთიდან — თუ ესტუმრები, იცოდე, პირში სულს ჩაუდგამ, ძველებურად სავსე აქვს ოჯახი. ლორს მოგიხარშავს, ღვინოს დაგალევინებს.

— რუხო?

— საწყალი რუხო. ტასო ირწმუნება, სიზმარმა მოკლაო ბერიკაცი.

— ბოცო?

— ჰო, ბოცოც ცოცხალია, ალიონზე დგება, ვიდრე ტასო გაიღვიძებდეს... უნდა დაასწროს... თექვსმეტ კომლს ჩამოუვლის და ანთებს ცეცხლს ბუხარში.

და, როცა გორაკზე შეფენილ რაჭის ერთ პატარა სოფელს ჩაუვლი, ბუხრიდან ბოლქვებად ამოსულ კვამლს დაინახავ, არა გჯერა, სომიწო დაიმეწყრაო...



ხელოვნების ქრონიკა



„გაზაფხულის ზღაპარი“

ასე ჰქვია ორგანყოფილებიან რევიუს, რომელსაც 4 დეკემბრიდან აჩვენებს თბილისის სპორტის სახლეში უკრაინის სამხატვრო-სპორტული ანსამბლი „ბალეტი ყინულზე“ ჩვენი თანამემამულის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ვრონსკის (ნადირაძის) ხელმძღვანელობით.

ამ ანსამბლს ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს. იგი უკვე მესამედ გვეწვია და ყინულზე ბალეტის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლის გასტროლები 21 დეკემბრამდე გასტანს.



ახალი შეხვედრა

ხორჯ მარიანოვიჩს თბილისელები რამდენიმე წლის წინათ გაეცნენ. პირველივე გაცნობა სასიამოვნო აღმოჩნდა ორივე მხარისათვის. მსმენელები მოიხიბლნენ მსახიობის მიერ შესრულებული სიმღერებით „ბალადა-მოგონება“, „ცირკი“, „სამ წელიწადს მესიზმრებოდი“... მარიანოვიჩი კი აღტაცებული დარჩა მაღალგემოვნებიან, მომთხოვნ ქართველ მაყურებელთან შეხვედრით.

იუგოსლაველი მომღერალი ანსამბლით ისევ ესტუმრა საქართველოს დედაქალაქს საესტრადო კოლექტივ „ცისფერ ანსამბლთან“ ერთად.

სურათზე: მღერის ხორჯ მარიანოვიჩი.



გვეწვია ბულგარელი მომღერალი

ლილი ივანოვა ჯერ კიდევ მანამდე შეიყვარა ჩვენმა მსმენელმა, სანამ საქართველოს ესტუმრებოდა. ბულგარელი მომღერლის ყოველ გამოსვლას საერთაშორისო კონკურსებზე დიდი უურადღებით ვადევნებდით თვალს და მისი წარმატება გვახარებდა.

რამდენიმე დღის წინათ ივანოვა თბილისს ეწვია ბულგარეთის საესტრადო ანსამბლთან ერთად და სპორტის სასახლეში გამართა კონცერტები. ხალხით გაჭედილი დარბაზი მოწონებით შეხვდა მსახიობს და მჭუხარე ტაშით დაუდასტურა აღფრთოვანება და პატივისცემა.

სურათზე: ლილი ივანოვა.

ლიმილის ბიჭები



გიორგი ნაფეტვარიძე

თბილისის გამომცემლობებში არასოდეს უნახავთ მაღალშუბლიანი და ღრმა თაფლისფერთვალებიანი ეს ტანადი ჭაბუკი. მისი ლექსების კრებულები — „გაფრენილი დურაჯი“, „დაუმთავრებელი ბალადა“ და „სიყვარული“ — მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. თვითონ არ ღირსებია ხელში აეღო საკუთარი შემოქმედების ნაყოფი, გაეხარა მისი ხილვით...

გიორგი ნაფეტვარიძის ნამდვილი ბიოგრაფია მისი ლექსებია, რომელთა ლირიკული გმირი დიდხანს იცოცხლებს, როგორც მაღალი მოჭალაქეობრივი პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში. ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში გიორგი ნაფეტვარიძემ მკაფიოდ გამოავლინა ისტორიული მოვლენების მხატვრულად აღქმისა და გააზრების უნარი. რაზეც კი წერს — მშობლიურ ქვეყანაზე, მის გმირულ წარსულზე უზომოდ შეყვარებული პოეტი, ყოველთვის გვხიბლავს დიდი სულიერი კეთილშობილებით, გრძნობათა სიფაქიზით, ჭეშმარიტი მოქალაქეობით.

მას ადრე გაუვარდა კალამი ხელიდან. როცა მტერი მოადგა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, ახალგაზრდა პოეტი გმირებს მხარში ამოუდგა და მრავალი უთქმელი სიმღერით აღსავსე გული მტრის ტყვიას მიუშვირა. ახლა ძნელია იმის წარმოდგენა, რას დაწერდა მომავალში იგი, ერთი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, — რაც უნდა დაეწერა, ეს ორიგინალური მხატვარი, თავისი საკუთარი პოეტური ხმით, ნათელი თვალთახედვით მუდამ სამშობლოს წინსვლისა და დიდების მომღერალი იქნებოდა.

გიორგი ნაფეტვარიძე და მისი შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გაუვარდეს სამშობლო, ფიქრობდე და ქმნიდე მისთვის, წერდე წრფელი გრძნობით, ნათელი აზრითა და ანთებული გულით.



გაზრინაზირა

ვეფხვმა დატორა ხარ-ლაღი,
ტევრები დაალეწინა.
არად ჩააგდე ნანახი,
ღამით გულმშვიდად გეძინა.
ალალმა ფრთები დაწურა,
ცრემლი ადინა ნიბლიას,
ზეცის ღურჯი ცა გაცურა,
შენ ხმა არ ამოგიღია.
ბულბული ვარდთან კვნესოდა,
შესტრფოდა გულდათუთქული,
შენ ხმა არ გაეც ეზოდან
და დილით მოკვდა ბულბული.
ერთხელაც ვნახავ, შენს გულზე
ნისლები გადივლიანო,
მიფრთხილდი, მაშინ მიფრთხილდი,
ეშმაკის მანდილიანო.

„ფედრა“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ფრანგი კლასიკოსის ჟან რასინის ტრაგედია „ფედრა“.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მიხეილ თუმანიშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის გიორგი ლაფაჩს. მუსიკალური გაფორმებისათვის გამოყენებულია ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის მუსიკა.

როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზინა კვერენჩხილაძე (ფედრა), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ედიშერ მარალაშვილი, დამსახურებული არტისტები ლეილა ძიგრაშვილი, ბადრი კობახიძე, მსახიობი მერაბ თავაძე და სხვები.

„მაესტრო“

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი ამ დღეებში ახალი წარმოდგენით წარდგა მაყურებლის წინაშე. ეს არის სკოვროვსკის პიესა „მაესტრო“, რომელიც დადგეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიგა ლორთქიფანიძემ და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ. მხატვარია გიორგი გუნია.

მთავარ როლებს ასრულებენ აკაკი ვასაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ არჩვაძე.

დღეს, 12 დეკემბერს, თეატრის მოყვარულნი რესთაველთა წარმოდგენას იხილავენ თბილისის რკინიგზელთა სახლში.

„მთვარის მოტაცება“ — მოსკოვის სცენაზე

საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, ხუთასამდე თეატრალური კოლექტივი მონაწილეობდა. აქედან გაიმარჯვა ხუთმა, მათ შორის თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. წარმოდგენამ „მთვარის მოტაცება“, რომელიც შექმნილია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის მიხედვით, პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია დაიმსახურა.

30 ნოემბერს მოსკოველმა მაყურებელმა ვახტანგოვის სახელობის თეატრის სცენაზე, სადაც მიმდინარეობდა პრემირებული სპექტაკლების ჩვენება, ქართველი მსახიობების შესრულებით ნახა „მთვარის მოტაცება“.

ლიმილის ბიჭები

ნახვამდის

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქაღალდი,
ნუ ტირით, პატარა დებო!
მამები გიცავდათ აქამდე,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ,
ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!
ვინ იცის, განახავთ თუ აღარა,
წინ გზაა შორი და მკაცრი,
ალვის ხემ თავი ძირს დახარა,
ცრემლებს ღვრის მოხუცი ნაძვი.
მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!...
ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, —
წინ გზა დევს უნდო და მკაცრი.
სულ კუშტად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი,
მე მივალ, მე მივალ, არასდროს
აღარ ჩამოგივლი გვერდით.
მე შენი ღიმილი არ მახსოვს,
არ მქონდა, არ მქონდა ბედი,
სულ მწყრალად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი.
სურათი მქონოდა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ?
რა მხდალი, რა გაუბედავი,
რა მწარე ბედისა დავრჩი,
ისევ შენ, მშობელო დედაო,
იმედად მიმყვები ჯარში,
სურათი მოგეცა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ!
ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
დედა, შენ მომწერე ქაღალდი,
ნუ ტირით, ძვირფასო დებო!
მამები გიცავდათ აქამდე,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!
გზის პირად პატარა ნაკადი,
ნაკადთან პატარა ჩერო,
იქ გითხარ პირველად „ნახვამდის“,
ახლა კი მშვიდობით, ჩემო...

ლიმილის ბიჭები

გმირის საფლავზე

ილია ზერეკიძემ 1939 წელს დაამთავრა ტირძნისის (გორის რაიონი) საშუალო სკოლა და როგორც წარჩინებული მოსწავლე, უგამოცდოდ მიიღეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ექიმობაზე ოცნებობდა და, ვინ იცის, რამდენ სიცოცხლეს გადაარჩენდა, მისთვის უდროოდ რომ არ წაერთმიათ სიცოცხლე!

დაიწყო დიდი სამამულო ომი და თეთრი ხალათის მაგივრად ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა...

21 წლის ჭაბუკი სათავეში ედგა პარტიზანულ რაზმს, რომელიც გააფთრებით იბრძოდა ყირიმში. სამშობლომ ღირსეულად დააფასა ილია ზერეკიძის გმირობა — იგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენითა და მედლით — „წარჩინებული პარტიზანი“.

საბედისწერო გამოდგა ახალგაზრდა პარტიზანისათვის 1944 წლის 13 მარტი. ყირიმის განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე იგი ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად დაეცა და სამუდამო განსასვენებელი პოვა ყირიმის მიწაზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გმირის საფლავის სანახავად გორის რაიონიდან გაემგზავრა დელეგაცია, რომელსაც ყირიმელი მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ.

გაიმართა მიტინგი. პიონერებმა ცოცხალი თაიგულებით შეამკეს ქართველი მებრძოლის ობელისკი. გმირის ძმამ შალვა ზერეკიძემ საფლავს მოაბნია მშობლიური სოფლიდან ჩატანილი ქართული მიწა.

◆◆

დიდების ობელისკი არხილოსკალოში

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს 1.000-ზე მეტი ვაჟკაცი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მკერდით იცავდა სამშობლოს გერმანელი ფაშისტებისაგან. მრავალი მათგანი არ დაბრუნებულა შინ, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

გმირების სამარადისო ხსოვნას მიუძღვნეს თანასოფლელებმა დიდების ობელისკი, რომელიც ამ ზაფხულს სოფელ არხილოსკალოში აიგო.

სპორტი

სპორტული ქრონიკა

● ფოთში გაიმართა რესპუბლიკის პირველობა ხელბურთში. ქალთა შორის გაიმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, მეორე ადგილი წილად ხვდა უნივერსიტეტს, მესამე — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრებს.

ვაჟებში საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის „განთიადმა".

* * *

● ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტული სკოლის დარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება საქართველოსა და პოლონეთის ტანმოვარჯიშეთა შორის.

ქალთა შორის როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ვაჟებში გუნდური გამარჯვება პოლონელებს დარჩათ, პირადში კი კვლავ საქართველოს წარმომადგენელი ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ნაკრებს ორი წელიწადია წვრთნის ჩვენი თანამემამულე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ბახტაძვილი.

* * *

● ფეხბურთის მოყვარულებს გული დასწყვიტა თბილისის დინამოელთა გასვლითმა ასპარეზობებმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. სსრ კავშირის 1969 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა სამი მატჩიდან ერთი წააგო, ერთი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი მოიგო.

* * *

● წარუმატებლად დამთავრდა ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა ამასწინანდელი ტურნე რუმინეთში. სამი მატჩიდან მათ სამივე წააგეს.

* * *

● გროზნოში დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. საქართველოს გუნდმა IV ადგილი დაისაკუთრა. თავიანთ დაფებზე პირველ ადგილზე გამოვიდნენ ნანა ალექსანდრია, თამარ ხუგაშვილი და ციური კობაიძე.

● იუგოსლავიაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. 6 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილს 5 ქულა აქვს. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ნონა იუგოსლავიაში მეუღლესთან ერთად იმყოფება.

● გრძელდება სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. ჯერჯერობით სუსტად გამოდიან თბილისის „დინამო" და „ქარიშხალა". დინამოელებმა ოთხი თამაშიდან მხოლოდ ორჯერ იზეიმეს გამარჯვება, „ქარიშხალამ" კი 5 თამაშიდან ორი ქულა მოაგროვა.



სურათზე: თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი რეზო ძოძუაშვილი, რომელმაც წლევანდელ საფეხბურთო სეზონში თავი გამოიჩინა, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა, ნიჭიერმა და საიმედო დამცველმა.

ვალერიან გენგიურის ფოტო

ასე თამაშობს ნანა

როდესაც რედაქციამ ნანა ალექსანდრიას პარტიის კომენტირება დამავალა, ცოტა არ იყოს, ძნელი არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი: გორში მან არაერთი ჩინებული პარტია გაითამაშა.

ბოლოს, ჩემი არჩევანი მოსკოვის მრავალგზის ჩემპიონ ოლღა კაცკოვასთან ნათამაშევ პარტიაზე შეჩერდა. ნანას სულ სხვადასხვანაირი მანერით შეუძლია თამაში (ეს არის მისი დიდი ძალა!). იგი შეტევის ვირტუოზია, ენარჯვება კომბინაციებიც, ზუსტად თამაშობს ენდშპილს. წინამდებარე პარტია, უპირველეს ყოვლისა, ნანას დიდ საჭადრაკო კულტურაზე მეტყველებს. ზუსტად გათამაშებული დებიუტის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გარკვეული პოზიციური უპირატესობა მიიღო, შემდგომ მანევრებში კი მთლიანად შეუბორკა ხელფეხი მეტოქეს. პარტიას რომ ვარჩევდი ამავე მეტოქეთა შარშანდელი შეხვედრაც გამახსენდა საბჭოთა კავშირის 1968 წლის ჩემპიონატში, რომელიც ამხანაგდაში გაიმართა. მაშინ ნანამ გაიმარჯვა „ტალის სტილით". წლევანდელი პარტია კი უფრო „ფიშერის სტილით" არის შესრულებული.

მამ ასე.

ნანა ალექსანდრია — ოლღა კაცკოვა

1. e4 e5 2. ♘f3 ♘c6 3. ♗b5.

ნანა მიმართავს ე. წ. ესპანურ პარტიას, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვეობის გამორჩენილ მოჭადრაკეთა რეპერტუარში. ამ პარტიის შედეგად დაფაზე მწვავე, შინაარსიანი პოზიცია წარმოიქმნება. აქტიური თამაში აქვთ როგორც თეთრებს, ისე შავებს. იმარჯვებს ის, ვინც დაასწრებს. *3... a6 4. ♗a4 b5 5. ♗b3 ♘a5.*

თანამედროვე დებიუტებს შორის ესპანური პარტია ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი დასწყისია. კაცკოვას ამ პარტიაში არა აქვს თეორიული დავის პრეტენზია. იგი ირჩევს ერთს, ნაკლებად გავრცელებულ, მაგრამ საკმარისად მწვავე გაგრძელებას.

6. 0—0

აქ თეთრები ხშირად სწირავენ კუს ორ პაიკში. თეორეტიკოსები დღემდე ვერ მორიგდნენ — ვისი პოზიცია სჯობს. ეტყობა, კაცკოვას მომზადებული ჰქონდა რაღაც სიურპრიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ვარიანტს არ მიმართავდა. ქართველი მოჭადრაკე სწორად წყვეტს — კუს შეწირვის ნაცვლად გააგრძელებს ფიგურების განვითარებას.

6. ...d6 7. d4 cd 8. ♕:d4 ♘b7 9. ♗d2 ♕:b3 10. ab

მართალია, შავებმა გაცვალეს „ესპანური კუ", მაგრამ აშკარად ჩამორჩნენ ფიგურათა განვითარებაში. მართლაც, თეთრებმა გააკეთეს როჩი, თამაშში ჩააბეს მსუბუქი ფიგურები, გახსნეს ბაზი. შავების ძალები კი ძირითადად საწყის პოზიციებზე არიან განლაგებული. ეს ყველაფერი უკვალოდ არ ჩაივლის...

10. ... ♗f5 11. ♘e1 ♘e7 12. ♗f5 0—0 13. ♗c3 ♘e8 14. ♖f3 ♗d7 15. ♖g3 g6

აქ უკეთესი იყო ♘f6. თუმცა ამ ვარიანტშიც თეთრებს აშკარა უპირატესობა აქვთ, ისინი ბრავალრიცხოვან მუქარას უქმნიან ნაკლებად დაცულ შავ მეფეს.


16. ♗d5 ♘:d5 17. ed ♘f6 18. ♘:e8+ ♖:e8 19. ♘e1 ♖d8 20. ♘c3 ♘:c3 21. ♗e7+!

აი ეს კი ვეღარ დაინახა კაცკოვამ! ახლა ნანას თამაში გადაჰყავს მოსაგებ ენდშპილში.

21. ... ♔:g7 22. ♖:c3+ ♔e5 23. ♗c6 ♖f6 24. ♗:e5 de 25. ♖:c7

თეთრებმა მხოლოდ ერთი პაიკი როდი მოიგეს. კაცკოვა ვერაფერს აწყობს ალექსანდრიას გამსვლელი პაიკის წინააღმდეგ. ეს კი ითას ნიშნავს, რომ პარტიის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნანას ჯერავინ შეედავება თუნდაც ერთ სვლაში — იგი თამაშობს მეტად ლოგიკურად, თანმიმდევრულად, ლაღად...

დავხედოთ დიაგრამას:



25. ... ♘e8 26. ♗d6 ♘d8 27. ♗7 ♖e7 28. ♘d1 e4 29. ♖d6

ნანა ალექსანდრიას მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ბუხუტი გურგენიძე მართებულად მიიჩნევს, რომ აქ უფრო სწრაფად იგებდა *29. ♖c3+*

29. ... ♖:d6 30. ♘:d6 ♔f8 31. ♔f1 ♔e7 32. ♘a6 ♘:d7 33. ♔e2 ♗b7 34. b4 f5 35. c3 ♔f7 36. ♔e3 ♔e7 37. h4 ♔f7 38. g3 ♔g7 39. ♗d6 ♔h6 40. ♘d5 ♔g7 41. ♔f4 ♔f6 42. ♗d6+ ♔e7 43. ♔e5 ♘a7 44. h5 ♔f7 45. ♘d5 ♗e7+ 46. ♔f4 ♔f6 47. hg hg 48. ♘:b5 და რამდენიმე სვლის შემდეგ შავებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

რა თქმა უნდა, ამ პარტიაში არის რაიმე თვალისმომჭრელი კომბინაციაა. არც შეწირვებით განხორციელებული შეტევა. ლოგიკა და მხოლოდ ლოგიკა. მაგრამ ეს ხომ საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის შემოქმედების ხმოლოდ ერთი ნახარია. დიახ, ჩვენც ამ ნახარს იოსტატრაცია გვინდოდა. თუნდაც იმიტომ, რომ დღის რიგი დამთავრებით ნანა ალექსანდრიას შეხვედრებზე საუბარს.

ბიჭი გამრეკელი

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჭართული სამზარეულო



ქრტქლა

ერთი კილოგრამი ძროხის კანჭი კარგად გარეცხეთ ნელთბილი წყლით, დაჩეხეთ და ჩაყარეთ მდუდარეწყლიან თავდახურულ ქვაბში. ადუღებისთანავე ცეცხლი შეუნელეთ. მოხადეთ ქაფი, დაუმატეთ 2-3 კბილი ნიორი, 3 ძირი ნიახური და ხარშეთ, სანამ ხორცი არ ჩაიშლება. შემდეგ ამოიღეთ ნიახური, წვენს მარილი და დანაყილი ნიორი უყავით, სუფრაზე მიტანისას დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ნიახურის ფოთლები (გემოვნებით).

ბაჭე

ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ერთი კბილი ნიორი, 2-3 ღერი ქინძი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) კარგად დანაყეთ და გამოხადეთ ზეთი. ნიგოზიან მასას დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი იმერული ზაფრანა და კარგად აურიეთ. შემდეგ ანადუღი გახსენით შეგრილებული წყლით (3/4-1 ჩაის ჭიქა), შეურიეთ ღვინის ძმარი გემოვნებით ან ბროწეულის წვენი. მიღებული საწებელა ჩაასხით შესაფერ ჭურჭელში, თუ გნებავთ, ჩაუმატეთ ბროწეულის მარცვლები და ზემოდან მოასხით გამოხდილი ზეთი.

ბაჭეს მომზადება შეიძლება ნიგოზიდან ზეთის გამოუხდელად და იმერული ზაფრანისა და ქინძის თესლის გარეშეც.

აღნიშნული საწებელა გამოიყენება უმთავრესად მოხარშული ან შემწვარი შინაური ფრინველის ხორცის ჩასაწყობად.

დაგეძებენ, მოგელიან

ძმებს იორდანე და ალექსანდრე მიხეილის ძე ღლონტებს,

დაბადებულთ 1916 და 1919 წლებში ლანჩხუთში, ეძებენ დედა — **ესმა**, და — **მარო ღლონტები**, ბიძა — **ვანო ნოდიები**, მცხოვრებნი ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველ სენაკში.

ბარათა ბაბუას ძე ნოდიას,

დაბადებულს 1912 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, ეძებენ მეუღლე — **ლენა**, შვილი — **ნოდარი**, რომან ღლონტები.

ზოთა გიორგის ძე ღლონტს,

დაბადებულს 1903 წელს მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურში, ეძებენ მეუღლე — **ეკატერინე** (ქალუშა). შვილები — **ნუნუ, მერი.**

შალვა იოსების ძე გამყრელიძეს.

დაბადებულს 1919 წელს ონის რაიონის სოფელ ჭინჭვისში. ეძებს ძმა — **აკაკი იოსების ძე გამყრელიძე.**

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!



ცხადდება ხელმოწერა გაზეთ „სამშობლოზე“ 1970 წლისათვის!

ABONNEZ VOUS AU JOURNAL „SAMCHOBLO“ POUR 1970!



ABONNIERT DIE ZEITUNG „SAMSCHOBLO“ FÜR DAS JAHR 1970!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER „SAMSHOBLO“ FOR 1970!

ძვირფასო თანამემამულეო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებო!

ცხადდება ხელმოწერა 1970 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (V/a „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და იყიდება საბჭოთა გამოცემები.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შეგახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს, რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აშუქებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

სად შეიძლება გამოიწეროთ გაზეთი „სამშობლო“

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 — 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 — 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
1 Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf 1

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln 1
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 — 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. 1

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia — URSS
Via Edilio Raggio, 1 — 6
16124 Genova

Associazione
Italia — URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt. 43
Oslo 1

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 — Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 — Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 — 7, rue Lévrier
Genève

ჩილე

Empresa Editora «Austral»
Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam